

იდენტობის აგების კრიზისი თამაზ ბაძალუას შემოქმედებაში

ნათია კაპანაძე

უცხო ენათა ფილოლოგია და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა
(შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სალომე პატარიძე (ასისტენტ-პროფესორი)

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნათია კაპანაძე, 29.06.2022

მადლობა

მადლობას ვუხდით ჩემს ხელმძღვანელს, სალომე პატარიძეს, გულისხმიერებისა და თანადგომისთვის.

მადლობა ბატონ მალხაზ ბაძაღვას, რომელმაც თამაზ ბაძაღვას შესახებ გამოცემული წიგნი "1959-87... დრო და ილუზიები" მაჩუქა.

აბსტრაქტი

წარმოდგენილ ნაშრომში მიმოხილულია ქართველი ავტორის - თამაზ ბაძაღუას პიესები და ლექსები, რომლებშიც ლირიკული “მე” განიცდის იდენტობის კრიზისს და მუდმივ ძიებაშია. იდენტობის ფორმირებისას ინდივიდზე ზეგავლენის კუთხით იკვეთება სამი ძირითადი თემა: ბავშვობის პერიოდი, ოჯახი და მათი აღზრდის მეთოდები; სოციო-ეკონომიკური პერიოდი და სოციალური გარემო.

კვლევის მიზანია, წარმოაჩინოს როგორ მოქმედებს ინდივიდზე ის გარემო და პერიოდი რომელშიც იმყოფება და კვლევის ფონზე დადგინდეს თუ რა თავისებურებებს ავლენს ლირიკული გმირი სხვადასხვა ნაწარმოებში, იდენტობის რღვევის ფონზე.

კვლევისას დადგინდა, რომ ინდივიდის იდენტობას მისი ცხოვრებაში ბოლომდე ჩართვა და შინაგანი “მე”-ს მოსმენა და გააზრება განაპირობებს. იდენტობის ჩამოყალიბება მცირე ასაკიდანვე იღებს სათავეს, როდესაც ინდივიდი საკუთარ თავს უსვამს კითხვას: ვინ ვარ მე? გარემო-ფაქტორები კი დიდ გავლენას ახდენს იდენტობის ჩამოყალიბებაზე, რადგან მისგან გამოწვეული უარყოფითობა ინდივიდზე პირდაპირ აისახება.

კვლევა საშუალებას გვაძლევს, აღმოვაჩინოთ ახალი საკვლევი ასპექტები, რომელიც საწინდარი იქნება თემის ფართო ასპარეზზე გასვლის და გაღრმავების.

ძირითადი საძიებო სიტყვები: იდენტობა; იდენტობის დესტრუქცია; ცნობიერება და ორიენტაცია; თვით-აღწერა’ თვით-განსაზღვრება.

Abstract

The presented work reviews the plays and poems of the Georgian author - Tamaz Badzaghua, in which the lyrical "I" is experiencing an identity crisis and is in constant search. In terms of influencing the individual in the formation of identity, three main themes emerge: childhood, family and methods of their upbringing; Socio-economic period and social environment.

The aim of the research is to show how the environment and the period in which it affects the individual and to determine in the background of the research what features the lyrical hero reveals in different works, against the background of the disintegration of identity.

Research has shown that an individual's identity is conditioned by his or her full involving in life and the listening and understanding of the inner self. Identity formation begins at an early age when an individual asks himself the question: Who am I? Environmental factors have a great influence on the formation of identity, because the negativity caused by it has a direct impact on the individual.

The research allows us to discover new research aspects, which will be a prerequisite for expanding and deepening the topic in a wider area.

Key words: Identity; Identity destruction; Awareness and orientation; Self-description Self-definition.